16.10.2023-20.10.2023 Erasmus+ სასწავლო გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასისტენტ პროფესორი მარიამ წიკლაური და ასოცირებული პროფესორი ანა ფიცხელაური ვიმყოფებოდით პოლონეთში, ქალაქ შჩეცინში, დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტში, თემატური ლექციების ჩატარების მიზნით. ჩემთვის, მარიამ წიკლაურისთვის ზემოაღნიშნულ უნივერსიტეტში ვიზიტი გახლდათ პირველი, ანა ფიცხელაური კი მეორედ იმყოფებოდა.

ვიზიტის ფარგლებში მე დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის სტუდენტებს ჩავუტარე ლექციები ტელემედიცინის თაობაზე, ანა ფიცხელაურმა კი - რადიაციული უსაფრთხოებისა და დოზიმეტრიის საკითხებში. გარდა აღნიშნულისა პოლონელ სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მოკლე პრეზენტაციის გამოყენებით გავაცანით საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და ჩვენი ქვეყანა, მოკლე ცნობები საქართველოს ისტორიიდან და კულტურიდან. ჩვენი ლექციების შედეგად ვფიქრობთ, რომ მსმენელები დავაინტერესეთ ჩვენი ქვეყნით, უნივერსიტეტით და სტუდენტებს გარკვეულწილად გავუზარდეთ საზღვარგარეთ სწავლის/სტაჟირების მოტივაცია.

პოლონეთში ვიზიტისას შევხვდით და გავიცანით პოლონელი კოლეგები მასპინძელი უნივერსიტეტიდან; კერძოდ, ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, პროფ. კრჟიშტოფ ოკარმა (Krzysztof Okarma), დეკანის მოადგილეები პროფ. მარჩინ ჟუკოვსკი (Marcin Ziolkowski), პროფ. პაველ დვორაკ (Pawel Dworak), პროფ. პიოტრ პაპლიცკი (Piotr Paplicki), ასევე, პროფ. კატერინა სკლიარ (Katherina Sklyar), სხვადასხვა სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების თანამშრომლები. პოლონელ კოლეგენთან დავამყარეთ მეგობრული ურთიერთობა, სამომავლოდ დავსახეთ ურთიერთთანამშრომლობის გეგმები.

პოლონელმა კოლეგებმა გაგვიწიეს ღირსეული მასპინძლობა, დიდი მონდომებით დაგვათვალიერებინეს დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის ელექტრული მანქანების, ელექტრული წრედების, მართვისა და კონტროლის სისტემების, სპექტრომეტრიის, ტელეკომუნიკაციის, ავტომატური კონტროლის, რობოტიქსის, მულტიმედიის, აკუსტიკის და სხვა თანამედროვე სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიები.

განსაკუთრებით გულთბილად გვიმასპინძლა დასავლეთ პომერანიის ტექნოლოგიის უნივერსიტეტის Erasmus+ პროგრამის კოორდინატორმა, ქალბატონმა აგატა ბრუსკამ თანამშრომლებითურთ.

ჩვენთვის Erasmus+ სასწავლო გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა პირველ რიგში გახლდათ მნიშვნელოვანი კარიერული ზრდისთვის. ჩვენი მოტივაცია იყო კარიერული შესაძლებლობების ზრდა, პრაქტიკული ცოდნის მიღება, საკუთარი კომპეტენციის განვითარება ჩვენს სფეროში, სოციალურ, ლინგვისტურ, კულტურულ

საკითხებში ცოდნის გაღრმავება, თანამედრვე პრაქტიკული უნარ-ჩვევების მეტად განვითარება, ახალი კონტაქტების დამყარება, პროფესიული კავშირების გაფართოება, ევროპულ უნივერსიტეტებთან პარტნიორული ურთიერთობის გაძლიერება, შრომის ბაზართან კავშირის დამყარება, სამეცნიერო-კვლევითი თანამშრომლობა, სტუდენტებისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, სტუდენტების და პერსონალის მობილობის ხარისხის და რაოდენობის გაზრდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ჩვენი მობილობის შედეგები კი ასეთია: შევიმუშავეთ ახალი, ინოვაციური სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ჩვენს ამჟამინდელ სამუშაოს და პროფესიულ განვითარებას, გავაძლიერეთ სასწავლო გეგმის შემუშავების უნარები, გავაფართოვეთ ჩვენი პროფესიული კონტაქტები, გავაძლიერეთ თანამშრომლობა პარტნიორ უნივერსიტეტთან, გავაუმჯობესეთ უცხო ენების ცოდნა, სოციალური, ენობრივი, კულტურული კომპეტენციები, ინფორმაციის და კომუნიკაციის გამოყენების უნარები (მაგალითად: კომპიუტერი, ინტერნეტი, ვირტუალური თანამშრომლობის პლატფორმები, პროგრამული უზრუნველყოფა, ICT მოწყობილობები). ინტერკულტურულ გარემოში თავს ვგრძნობთ მეტად თავდაჯერებულად.

მიგვაჩნია, რომ ჩვენმა მობილობამ გარკვეული გავლენა მოახდინა პოლონელ სტუდენტებზე; გაზარდა მათი მოტივაცია, ისწავლონ/გააკეთონ სტაჟირება საზღვარგარეთ.

აქვე, გვინდა ორიოდე სიტყვით გაგიზიაროთ ჩვენი შთაბეჭდილებები არაჩვეულებრივი ქალაქის შესახებ, რომელსაც შჩეცინი ჰქვია. ეს არის ქალაქი მდინარე ოდერზე, პოლონეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. იგი ცნობილია მე-19 საუკუნის Waly Chrobrego, ანუ Chobry Emnankment და განახლებული პომერანიელი ჰერცოგების ციხესიმაგრით, რომელიც ამჟამად კულტურული ცენტრია. მე-14 საუკუნის წმინდა ჯეიმსის უზარმაზარი ტაძარს აქვს ვიტრაჟები და კოშკი ქალაქის ხედით. იქვე მდებარეობს გოთური სტილის ძველი მერიის შენობა, რომელიც მასპინძლობს ეროვნული მუზეუმის გამოფენებს შჩეცინის ისტორიისა და კულტურის სფეროში. აქ მდებარეობს პოლონეთის ერთ-ერთი ყველაზე დიდი პორტი. შჩეცინი გაშენებულია ბალტიის ზღვის სანაპიროზე. ცხოვრობს 409 211 ადამიანი.

ძალიან კმაყოფილები ვართ Erasmus+ მობილობის გამოცდილებით, აუცილებლად ვურჩევდით ყველა ჩვენს კოლეგას მიიღონ მონაწილეობა შესარჩევ კონკურსში. მითუმეტეს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მხრიდან სრული

მხარდაჭერაა ამ მიმართულებით. შერჩევის პროცედურა სამართლიანი და გამჭვირვალეა.